

მანანა ჩაჩანიძე

**ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაში**

ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ენის, როგორც სისტემის, არსებობისა და ფუნქციონირების საკითხებს. ენის პოლივალენტოვნების საუკეთესო ამსახველი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული მიმართულებების მიჯნაზე, ჩვეულებრივ, ძირითადი ტიპის — სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონებია. ამ რიგის ლექსიკონებში ყველაზე მკაფიოდ ვლინდება „პარამეტრთა თავისუფლების კანონის“ მოქმედება, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოაჩენს ლექსიკოგრაფიული მიზანდასახულობის ლინგვისტური კონსტრუირების არსს. ამ უკანასკნელში კი მოიაზრება ერთობლიობა იმ ხერხებისა და საშუალებებისა, რომელთა მეშვეობითაც ხდება საკვლევადი სივრცის მოწყობა. წინამდებარე სტატიის მიზანია აღნიშნული კუთხით იქნეს განხილული ქართული ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის ისეთი დეტალურად ამსახველი და განმაზოგადებელი ნაშრომი, როგორიცაა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ლექსიკოგრაფიისთვის აუცილებელი ლინგვისტური კონსტრუირების მთავარი პრინციპი „როგორ გავაკეთოთ“ არ არის მხოლოდ ტექნიკური ხასიათისა, ის არის შესწავლის მეთოდიც, რომელიც ვარაუდობს როგორც ანალიზს, ისე სინთეზს. ამგვარი კვლევა იძლევა არა მარტო თვისებრივ მოდელს, არამედ მთელი რიგი ამოცანების რაოდენობრივ გადაწყვეტასაც (დაწვრ. იხ. კარაულოვი 1981). როდესაც მკვლევრები საუბრობენ ლინგვისტური კონსტრუირების შესახებ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში აქვთ ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის თავისებურებანი. როგორც წესი, ნებისმიერ ლინგვისტურ ლექსიკონში აისახება ენობრივი ინფორმაციის მინიმალური ერთეული ანუ ენობრივი სტრუქტურის პარამეტრი. ტერმინი პარამეტრი (ბერძნ. *parametre* — ვუფარდებ) ლინგვისტიკაში ფართოდ გამოიყენება და გარკვეულწილად უახლოვდება ცნებას „სისტემა“, მაგრამ მისი განსაზღვრება არ არის ერთმნიშვნელოვანი, იგი უფრო მეტაფორული ხასიათისაა, ვიდრე ტერმინოლოგიური. მისი მნიშვნელობა ზუსტდება კონტექსტების შესაბამისად, თუმცა, ზოგადად, იგი არის შესაბამისი ლინგვისტური აღწერისას ლინგვისტური ერთეულის სიდიდე, დახასიათება და ფუნქციით ემთხვევა დიფერენციულ ნიშანს. ეს ტერმინი დამკვიდრდა ნაშრომით „პარამეტრული ლინგვისტიკა“ (L. Heller, J. Macris. *Parametric linguistics. The Hague – Paris, 1967*), რომელშიც ავტორები უარს ამბობენ ტერმინზე „დიფერენციული ნიშანი“, რადგან იგი გამოიყენება ენის აღწერის ფონოლოგიურსა და მორფოლოგიურ დონეებზე, ხოლო „პარამეტრი არის დემარკაციული ცვლადი ნებისმიერ დონეზე“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 12). ლექსი-

კოგრაფიული ინფორმაციის აღწერისა და კლასიფიკაციის მიმართ ტერმინ პარამეტრის გამოყენება განისაზღვრება თვით ლექსიკონების სპეციფიკით. ლექსიკონთა ტიპოლოგიის შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს, რომელიც ადასტურებს ტერმინ პარამეტრის არა მხოლოდ ინსტრუმენტულ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ პარამეტრები ხშირად იწოდება ლექსიკურ ფუნქციებად. ასე განიხილავს მათ მაგ., გ. ვარივი თავის ლექსიკონში (ვარივი 1966). რაც შეეხება ლექსიკოგრაფიული პარამეტრის სტატუსს, მის სიდიდესა (მოცულობასა) და სტრუქტურას, ვვიქრობთ, დამაკმაყოფილებელია ი. კარაულოვის პრაგმატიკული ხასიათის განსაზღვრება, რომლის თანახმადაც პარამეტრად გაიგება რომელიმე კვანტი ინფორმაციისა ენის სტრუქტურის შესახებ, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციაში შეიძლება წარმოადგენდეს მომხმარებლისათვის დამოუკიდებელი ინტერესის საგანს, ამასთან, როგორც წესი, გამოდის სხვა კვანტებთან (პარამეტრებთან) ერთად და პოულობს სპეციფიკურ ასახვას ლექსიკონებში. სხვაგვარად, ეს არის განსაკუთრებული წარმოდგენა ენის სტრუქტურული თვისებებისა (კარაულოვი 1981, 51).

ძირითადი ლექსიკოგრაფიული პარამეტრებია: **ეტიმოლოგიური, ორთოგრაფიული, ორთოეპიული, ნორმატიული, გრამატიკული** (მორფოლოგიურ-სინტაქსური), **სემანტიკური, სტილისტიკური, ფრაზეოლოგიური, ილუსტრაციული, ბიბლიოგრაფიული**. თითოეული ამ პარამეტრთაგანი ყოველთვის კონკრეტული სახით არის წარმოდგენილი; ასე მაგ., სტილისტიკური პარამეტრებია: წიგნ., ზებ., საუბ., დიალექტ. და მისთ. ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში მეტად გავრცელებულია ე. წ. ერთპარამეტრიანი ლექსიკონები, როგორცაა მაგ., სინონიმების, ომონიმების, მორფემებისა და მოდალური ელემენტების, ნეოლოგიზმების და ა. შ., მაგრამ, საგულისხმოა, რომ თვით ცნება „ერთპარამეტრიანი“ არის პირობითი, უბრალოდ, იგი მიანიშნებს დომინირებულ პარამეტრზე. ლექსიკონის ლინგვისტური კონსტრუქციებისას, ისევე როგორც მხატვრული კონსტრუქციებისას ანუ დიზაინისას, მოქმედებს თავისებური „პარამეტრთა თავისუფლების კანონი“ (სელეზნიოვი 1978, 109-119), რომელიც აუცილებლად გულისხმობს პარამეტრთა რაოდენობის გარკვევას. ცალსახად უნდა ითქვას, რომ ლექსიკოგრაფიურებად პარამეტრთა რაოდენობა ძნელად აღირიცხება და განსხვავებულია ენათა მიხედვით. ქართული აკადემიური ლექსიკოგრაფიის სპეციფიკას ამ მხრივ საუკეთესოდ წარმოაჩენს ლექსიკურ მონაცემთა ისეთი ფუნდამენტური ბაზა, როგორცაა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (როგორც I გამოცემა 1950-1964 წწ., სადაც თავმოყრილია 115 ათასი ლექსიკური ერთეული, ისე ახალი რედაქციის I ტომი, თბ., 2007, რომელშიც 15 866 ლექსიკური ერთეულია შეტანილი). ქველის წინასიტყვაობის თანახმად, აღნიშნული ლექსიკონი არის: სალიტერატურო ენის, განმარტებითი, ფილოლოგიური, ნორმატიული, დოკუმენტირებული ლექსიკონი. ლექსიკურ ერთეულთა განმარტებებში მოცემულია შესაბამისი კვალიფიკაციები, რომელთა მეშვეობითაც, ფაქტობრივად, ხორციელდება ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია. „კვალიფიკაცია შეიძლება მიუთითებდეს: ა. ემოციურ იერს, რომელიც ახლავს სიტყვას (მაგ., პატივისცემას, ირონიას...); ბ. მიუთითებდეს დარგზე, სადაც ეს სიტყვა იხმარება (მაგ., მათემატიკა, ფილოსოფია, ბიოლო-

გია...); გ. უჩვენებდეს, რომ სიტყვა ახალია... (ანდა ძველია, მაგრამ სიტყვახმარებიდან გამოსული არაა...); დ. აღნიშნავდეს, რომ სიტყვა არაა საყოველთაოდ გავრცელებული (ხმარებულა ამა თუ იმ კუთხეში). ყველა ამ შემთხვევაში განმარტებას უძღვის სათანადო კვალიფიკაცია. კვალიფიკაციების აღმნიშვნელი სიტყვები წარმოდგენილია შეკვეცით. მათი გახსნა მოცემულია შემოკლებათა განმარტებაში“ (ქეგლი, ტ. 1, 1950, გვ. 089; 2007, გვ. 94). გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევაში ნაჩვენებია სიტყვის წარმომავლობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქეგლში ასახულ კვალიფიკაციათა რაოდენობა 230-მდეა.

ქეგლის კვალიფიკაციათა ნუსხა

(* — ვარსკვლავით აღნიშნულია ახალი რედაქციის მიერ შემოტანილი კვალიფიკაცია, [] — ფრჩხილებში მოცემულია ახალი რედაქციის მიერ ამოღებული კვალიფიკაცია)

ავიაც. — ავიაცია
 ალერს. — საალერსო
 ანატ. — ანატომია
 *ანაქრ. — ანაქრონიზმი
 ანთროპ. — ანთროპოლოგია
 არაბ. — არაბული
 არაბ.-სპარ. — არაბულ- სპარსული
 არითმ. — არითმეტიკა
 [არს. სახ. — არსებითი სახელი]
 არქ. — არქაული
 არქეოლ. — არქეოლოგია
 არქიტ. — არიტექტურა
 ასტრ. — ასტრონომია
 ასურ.-ბაბილ. — ასურულ-ბაბილონური
 აფთ. — სააფთიაქო
 აწმ. — აწმყო
 აწმ.-მყ. — აწმყო-მყოფადი
 აჭარ. — აჭარული
 ახ. — ახალი
 [ბაბილ. — იხ. ასურ.-ბაბილ.]
 ბავშ. — საბავშვო, ბავშვური
 ბანკ. — საბანკო
 ბარბარ. — ბარბარიზმი
 ბერძ. — ბერძნული
 ბიბლიოთ. — საბიბლიოთეკო
 ბიოლ. — ბიოლოგია
 ბოტან. — ბოტანიკა
 ბრ. — ბრუნვა
 ბულ. — ბულალტერია, საბულალტრო

გადატ. — გადატანით, გადატანითი
 განუსაზღვრ. — განუსაზღვრელი
 გეოგრ. — გეოგრაფია
 *გეოდ. — გეოდეზია
 გეოლ. — გეოლოგია
 [გეომეტ. — გეომეტრია]
 გერმ. — გერმანული
 [გომარ. — გომარული (კილოკავი ქართლური კილოსი)]
 გრამატ. — გრამატიკა
 გრდმ. — გარდამავალი
 გრდუვ. — გარდაუვალი
 გუდამაყ. — გუდამაყრული
 გურ. — გურული
 დამცირ. — დამცირებითი
 *დარგ. — დარგობრივი
 დაცინ. — დაცინვითი
 დინ. — დინამიკური
 დიპლ. — დიპლომატია
 ევფემ. — ევფემიზმი
 ეთიოპ. — ეთიოპიური
 ეთნ. — ეთნოგრაფია
 ეკლ. — საეკლესიო
 ეკონ. — ეკონომიკა
 ელექტ. — ელექტროტექნიკა
 *ელიფს. — ელიფსისი
 *ენტომ. — ენტომოლოგიური
 *[ერთბ. — ერთბირიანი]
 [ერ. — ერწო]
 [ერწ.-თიან. — ერწო-თიანეთისა]
 ესპ. — ესპანური
 ვაჭრ. — სავაჭრო
 ვნებ. — ვნებითი
 ვულგ. — ვულგარული
 ზედმიწ. — ზედმიწევნით
 ზედსართ. — ზედსართავი სახელი
 ზ.-იმერ. — ზემო-იმერული
 ზმნს. — ზმნისართი
 ზოოლ. — ზოოლოგია
 ზოოტექ. — ზოოტექნიკა
 ზ.-რაჭ. — ზემო-რაჭული
 [ზრდილობ. — ზრდილობიანი]
 ზღაპ. — ზღაპრული
 ზღვ. — საზღვაო

*თავაზ. — თავაზიანი
 თარგმ. — თარგმანი
 თეატ. — თეატრი
 თიან. — თიანური
 თურმ. — თურმეობითი
 თურქ. — თურქული
 [თურქ.-სპარ. — თურქულ-საპარსული]
 თუშ. — თუშური
 *იაპონ. — იაპონური
 *ივს. — ივსებს
 იმერ. — იმერული
 ინგ. — ინგლისური
 ინგილ. — ინგილოური
 ირონ. — ირონიული
 ისტ. — ისტორიული
 იტალ. — იტალიური
 იყენ. — იყენებს
 იხ. — იხილე
 კავშ. — კავშირი
 კავშირ. — კავშირებითი
 *კალკ. — კალკი
 კანც. — საკანცელარიო
 კაუზატ. — კაუზატივი
 კახ. — კახური
 კნინ. — კნინობითი
 [კნინ.-მოფერ. — კნინობით-მოფერებითი]
 კრებ. — კრებითი
 კუთხ. — კუთხური
 კულინ. — კულინარია
 ლათ. — ლათინური
 [ლათ.-ბერძ. — ლათინურ-ბერძნული]
 ლანძღ. — სალანძღავი
 ლეჩხ. — ლეჩხუმური
 ლინგვ. — ლინგვისტიკა
 ლიტ. — ლიტერატურა
 ლოგ. — ლოგიკა
 *ლოც. — დალოცვა
 მათემ. — მათემატიკა
 მალ. — მალაიური
 მაცალკევ. — მაცალკევებელი (კავშირი)
 მეგრ. — მეგრული
 მედიც. — მედიცინა
 მემცენ. — მემცენარეობა

მესხ. — მესხური
 მეტაფ. — მეტაფორა
 [მეტეორ. — მეტეოროლოგია]
 [მეშგ. — მეშვეობით]
 მეცნ. — მეცნიერული
 მეცხოვ. — მეცხოველეობა
 [მთ. — მთისა (დიალექტები)]
 მთიულ. — მთიულური
 მთ.მად. — სამთამადნო
 მითოლ. — მითოლოგია
 [მიმართ. — მიმართულებითი (ბრუნვა)]
 მიმღ. — მიმღეობა
 მინერ. — მინერალოგია
 მისთ. — მისთანანი, მისთანები [მისთანათა]
 მიც. — მიცემითი
 მნიშგ. — მნიშვნელობა
 მოთხ. — მოთხრობითი (ბრუნვა)
 მოფერ. — მოფერებით, მოფერებითი
 მოქმ. — მოქმედებითი (ბრუნვა) [მოქმედებითი] (გვარი)
 *მოძგ. — მოძველებული
 მოხეგ. — მოხეური
 მრ. — მრავლობითი
 მსაზღვ. — მსაზღვრელი
 მუს. — მუსიკა
 მყოფ. — მყოფადი
 მშენ. — მშენებლობა
 მხ. — მხოლოდობითი
 მხატვ. — მხატვრობა
 ნათ. — ნათესაობითი
 ნამ. — ნამყო
 ნამ. უსრ. — ნამყო უსრული
 ნამ. ძირით. — ნამყო ძირითადი
 *ნატვრ. — ნატვრითი
 ნაცვალსახ. — ნაცვალსახელი
 ნაწილ. — ნაწილაკი
 ნეოლოგ. — ნეოლოგიზმი
 ობ. — საობიექტო (ქცევა)
 [ორპირ. — ორპირიანი]
 პალეოგრ. — პალეოგრაფია
 პატივისც. — პატივისცემით
 *პერიფრ. — პერიფრაზი
 პოლ. — პოლონური
 პოლიგრ. — პოლიგრაფია

- [პოლ.-ფრან. — პოლონურ-ფრანგული]
 პოლიტ. — პოლიტიკური
 [პოლიტ.-ეკონ. — პოლიტიკური ეკონომია]
 პორტუგ. — პორტუგალიური
 პროვანს. — პროვანსული
 *ჟარგ. — ჟარგონული
 რიცხ. — რიცხვი
 რაჭ. — რაჭული
 [რევოლუციამდ. — რევოლუციამდელი (ოქტომბრის
 სოციალისტურ რევოლუციამდე)]
 რელიგ. — რელიგია
 რკ.-გზა — რკინი(ს)გზისა
 რუმინ. — რუმინული
 [საბჭ. — საბჭოური]
 სამართ. — სამართალი
 სამხ. — სამხედრო
 საპირისპ. — საპირისპირო
 საუბ. — საუბრული
 საშ. — საშუალო
 [საშ. ლათ. — საშუალო ლათინური]
 სახ. — სახელი
 სახელობ. — სახელობითი (ბრუნვა)
 სინონ. — სინონიმი
 სირ. — სირიული
 *სიტყვ. მას. — სიტყვის მასალა
 სკოლ. — სასკოლო
 [სოფლ.-მეურნ. — სოფლის მეურნეობა]
 სპარ. — სპარსული
 სპეც. — სპეციალური
 სპორტ. — სპორტი
 სტამბ. — სტამბისა, სტამბური
 სტატ. — სტატისტიკური
 სუბ. — სასუბიექტო (ქცევა)
 ტექ. — ტექნიკური
 უარყ. — უარყოფითი
 უმართებ. — უმართებულო
 უპატივ. — უპატივცემლობისა
 უსრ. — უსრული
 უცხ. — უცხოური
 ფალ. — ფალაური
 ფეიქ. — საფეიქრო
 ფიგურ. — ფიგურალური
 ფიზიოლ. — ფიზიოლოგია

ფილოლ. — ფილოლოგია
 ფილოს. — ფილოსოფია
 ფინან. — საფინანსო
 ფონეტ. — ფონეტიკა
 ფოტოგრ. — ფოტოგრაფია
 ფრან. — ფრანგული
 ფსიქ. — ფსიქოლოგია
 ფშ. — ფშაური
 ქალ. — ქალაქური
 ქართ. — ქართლური
 ქვ.-იმერ. — ქვემო-იმერული
 ქიზ. — ქიზიყური
 ქიმ. — ქიმია
 ქც. — ქცევა
 შდრ. — შეადარე
 შეკვეც. — შეკვეცით, შეკვეცილი
 შემოკლ. — შემოკლებით, შემოკლებული
 შორისდ. — შორისდებული
 ჩვენებ. — ჩვენებითი (ნაწილაკი, ნაცვალსახელი)
 [ცრუმორწ. — ცრუმორწმუნეობით]
 ძვ. — ძველი [მოძველებული]
 ძვ.-ებრ. — ძველებრაული
 წიგნ. — წიგნური
 წოდ. — წოდებითი
 წყევ. — წყევლა
 [ჭან. — ჭანური]
 ხალხ. — ხალხური
 ხევს. — ხევსურული
 ხელოვნ. — ხელოვნური
 ხელოვნ.-მცოდნ. — ხელოვნებათმცოდნეობა
 ხელსაქ. — ხელსაქმე
 ხმაბაძვ. — ხმაბაძვითი
 ჯავახ. — ჯავახური
 ჰოლან. — ჰოლანდიური

ლექსიკონთა ტიპოლოგიის თანახმად, საერთო ენის განმარტებითი ლექსიკონი ცენტრალური ტიპია. ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საერთო ენის განმარტებითი ლექსიკონი, ფაქტობრივად, შეიცავს (თუ წარმოადგენს) ამ ენის ლექსიკოგრაფიულ მოდელს. სწორედ ამიტომ, რომ რამდენიმე ათეული ლექსიკოგრაფიული პარამეტრის შემცველი საერთო ენის განმარტებითი ლექსიკონების ბაზაზე იქმნება მრავალი ლექსიკონი. ასე მაგ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის საფუძველზე შეიქმნა ისეთი ლექსიკონები, როგორცაა: იდეოგრაფიული ლექსიკონი (ფო-

ჩხუა 1987), მორფემათა და მოდალურ ელემენტთა ლექსიკონი (ჯორბენაძე, ბერიძე, კობაიძე 1988), ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი (გოგოლაშვილი, კვანტალიანი, შენგელია 1989), ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი (ჯორბენაძე, კვანტალიანი, შენგელია 1991) და სხვ. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ერთგვარ ლინგვისტურ (**resp.** ლექსიკოგრაფიულ) უნივერსალიასთან. ამ მოვლენის უნივერსალურობას ხელს არ უშლის ის ფაქტი, რომ ლექსიკოგრაფიერებად პარამეტრთა რაოდენობა სხვადასხვა ენისთვის სხვადასხვაა.

ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის თვალსაზრისით აქვე საგანგებოდ აღსანიშნავია **ქეგლის** ფუნდამენტური მნიშვნელობა ელექტრონული ლექსიკოგრაფიისა და მონაცემთა კომპიუტერული ბაზების მოდელირებისათვის (დაწვრ. იხ. ჩაჩანიძე 2002; 2005). მონაცემთა ანუ ლექსიკურ ერთეულთა წარმოდგენისათვის ქეგლში ქსელური მოდელია გამოყენებული, ხოლო მის ბაზაზე შექმნილ ლექსიკონებში — იერარქიული. ლექსიკონებში მონაცემთა წარმოდგენის ფორმა ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა როგორც ნიმუში ენის ლექსიკოგრაფიულ პარამეტრიზაციაში ცენტრიდანული და ცენტრისკენული ტენდენციების არსებობისა. საზოგადოდ, ენის ლექსიკოგრაფიულ პარამეტრიზაციაში გამოყოფენ ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ ტენდენციებს. ცენტრიდანული ტენდენციები ვლინდება ერთპარამეტრიანი (ვიწროფუნქციური) ლექსიკონების რიცხვის ზრდაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამის საპირისპირო, ცენტრისკენული ტენდენცია, მსოფლიო ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა არ იცნობს უნივერსალურ ლექსიკონს, რომელიც თავის შემადგენლობაში გააერთიანებდა ყველა პარამეტრს, მთელ ინფორმაციას მოცემულ ენობრივ სტრუქტურაზე, მის ფუნქციონირებაზე. ამის უპირველესი მიზეზია ლექსიკონის დიდი მოცულობა და ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადის აღქმის სირთულე მკითხველისათვის; ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ამგვარი გამოცემის პოლიგრაფიული გაფორმების სირთულეც (თუმცა ელექტრონულ რეჟიმში არაერთი სირთულის დაძლევა ხერხდება). საერთოდ კი, ლექსიკოგრაფიულ პარამეტრთა ასახვა კონკრეტულ ლექსიკონში (პარამეტრთა რაოდენობა მერყეობს ერთიდან რამდენიმე ათეულამდე) მთლიანად განისაზღვრება ენის სპეციფიკით, შესაბამისი ქვეყნის ლექსიკოგრაფიული ტრადიციით, ლექსიკონის ტიპითა და დანიშნულებით და ამ ლექსიკონის ავტორ-ლექსიკოგრაფისა თუ ლექსიკოგრაფების შეხედულებებით.

„პარამეტრთა თავისუფლების კანონის“ მოქმედება ლექსიკონებში გვიჩვენებს, რომ ყოველი პარამეტრი თავისი მოქმედების ხასიათის მიხედვით ორ ძირითად ჯგუფში ერთიანდება. კერძოდ, ეს ჯგუფებია: პირველი — **საკუთრივ ენობრივი**, ფუნდამენტური — აქ შემოვა სტრუქტუროგენური პარამეტრები, როგორიცაა მაგ., აქცენტოლოგიური, ორთოლოგიური (ორთოგრაფიული, ორთოეპიული), ფლექსიური, დერივაციული და მისთ. მახასიათებლები. მათი მნიშვნელობა დისკრეტულია და ვარიირების შესაძლებლობა ვრცელდება მხოლოდ გამოცემის ხასიათსა და ლექსიკონში მათი ფიქსაციის ხერხებზე; მეორე — **ექსტრალინგვისტური**, ფაკულტატიური — აქ შემოვა გარეენობრივი ფაქტორების შემცველი მახასიათებლები: დენოტატიური, ისტორიულ-კულტურული, პრაგმატიკული (მაგ., ბიბლიოგრაფიული ცნობები), ე. ი. ინფორმაცია, დაკავ-

შირებულნი არა თვით ენასთან, არამედ ენის შესწავლასთან. ეს პარამეტრები არადისკრეტულია თავისი ბუნებით და ასახავენ არა საკუთრივ სტრუქტურულ მიმართებებს, არამედ — დიაქრონიულ, სინტაგმატურ, ინტერფერენციულ და ა. შ. პროცესებს. მაშასადამე, I ჯგუფს ქმნიან საკუთრივ ენობრივი პარამეტრები, II ჯგუფს კი — ლინგვისტიკური პარამეტრები.

დასასრულ, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ენის ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლა-დამუშავება პრინციპულად განსაზღვრავს ქართული აკადემიური ლექსიკოგრაფიის მომავალს.

ლიტერატურა

გარიგი 1966 — G. Wahrig, Das grosse deutsche Wörterbuch. Gütersloh, 1966.

კარაულოვი 1981 — Караулов Ю. Н., Лингвистическое конструирование и тезаурус литературного языка. Москва, 1981.

სელეზნიოვი 1978 — Селезнев И. Ф., Дизайн. Проблемы материально-художественной культуры. Минск, 1978.

ქეგელი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1-8, თბ., 1950-1964. ახალი რედაქცია, ტ. 1 ა-ბ, თბილისი, 2007.

ჩაჩანიძე 2002 — მ. ჩაჩანიძე, ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაცია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 2002.

ჩაჩანიძე 2005 — მ. ჩაჩანიძე, ენის ლექსიკოგრაფიული მოდელი და ლინგვისტურ მონაცემთა ბაზები. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 12. ქუთაისი, 2005.

MANANA CHACHANIDZE

Lexicographic Parametrization in New Edition of Georgian Explanatory Dictionary

S u m m a r y

The problems of lexicographic parametrization of a language are closely connected with the problems of existing and functioning of a language as a system. Explanatory dictionaries of a basic type - literary language at the boundary of scientific and scientific-popular directions usually reflect polyvalency of a language. In such dictionaries function of "free law of parameters", which actually shows an essence of linguistic construing of lexicographic purpose, is clearly manifested. In the latter the unity of those methods and means through which arranging of a space under research are meant.

The present article deals with the problems of lexicographic parametrization in the work which reflects in detail and generalizing the Georgian lexicographic practice - such as Georgian Explanatory Dictionary.